

წა ღრიგოლ იმრთისმეტყველი

სხალკჳრიაკისათჳს ღა სატფურეპისათჳს ეპლესიისა*



ატფურეპისა პატივი ძუელი შჯული არს და კეთილ არს იგი. ოფრომღლა ახლისა ამის ჯერ-არს პატივი სატფურეპითა: და ესე არა ერთგზის ხოლო, არამედ მრავალგზის, თითოეულისა წელიწადისა მოქცევისა მოყვანებად ამის დღისა. ჯაფთა არა დაძუელდენ კეთილნი საქმენი სიგრძესა ჟამისასა, არცა შთაჴდენ სიღრმესა დაღიწყებისასა და უჴმარ იქმნენ.

«ღანახლდებიან იმრთისა მიმართ ჭალაკნი, ვითარცა წარგჳკითხავს ჴსაიას წიგნსა შინა» (ეს.41,1), ხოლო ჭალაკთა მათ გულისჴმა-ვჴყოფ წარმართთაგანთა მათ ეკლესიათა, ან დაწყნარებულთა და მარილოვანისა მის ურწმუნოებისაგან მოქცეულთა და სარწმუნოებით დამტკიცებულთა სამკჳდრებელად იმრთისა.

«ღანახლდების ზღუდეცა რეალისაჲ» (იერ. 1,18) სხჳსა მიერ წინაღსწარმეტყუელისა, რომელი-იგი არს, ვითარ ვჴგონებ, სული ახოვანი და ოქროსფერი და ანღა დამტკიცებული იმრთისმსახურებად. ჴა ბრძანებულ არს ჩუენდა, რაფთა «უგალობდეთ ოფალსა გალობითა ახლითა» (ფს.149,1), გინათუ წარტყუენულნი ესე ცოდვისაგან **ჴაბილონად**, რომელ არს ბოროტი შფოთი და უნესობაჲ, და კუალადმოქცეულნი **ღერუსალემდ** (რომელთა-ესე მუნ «ვერ ჴელ-გუენიფებოდა საღმრთოჲსა მის გალობისა გალობად, ჴუეყანასა მას უცხო-ოსა» (ფს.136,4), ხოლო აჴა ახალი გალობაჲ და მოქალაქობაჲ ვისნავეთ).

ღინათუ დადგრომილნი კეთილსა ჴედა და წარმატებულნი, რომელთა-ესე ჴოგნი სათნოებანი წარგჳმართებიან და ჴოგთა წარგჳმართებთ მადლითა განმაახლებელისა მის სულისაჲთა.

2. სატფურებაჲ აღესრულა «კარვისა მის საწამებელისაჲ ფრიად დიდებულად, რომელი-იგი იმერთმან ურუენა» (გამს.31,7) და **ჴესელიელ** აღასრულა» (გამს.31,2) და **შოსე** დაამტკიცა. «სატფურებაჲ იქმნა **ღავითის** მეფობისაჲ და არა ერთგზის, არამედ პირველად, ოდეს-იგი

იცხო. ჴა მეორედ, ოდეს იჴადაგა მეფედ» (1 ნეშ.11,3). «იყო სატფურებაჲცა **ღერუსალემს** და ჴამთარი იყო ურწმუნოებისაჲ» (იოზ.10,22),

10 ჴა ჴესუ მუნ იყო – იმერთი და ტაძარი. იმერთი უზემთაესი ჴამთაჲ, ტაძარი ახალი, ერთ დღე დაჴსნადი და მესამესა დღესა აღდგომილი და დადგრომილი უკუნისამდე, რაფთა მე ვცხოხდე და აღვემართო ძუელისა მის დაცემისაგან და ვიქმნე დაბადებული ახალი კაცთმოყუარებითა შისითა განახლებული.

15 ჴოხოვს ნეტარი **ღავითცა** «გულსა წმიდასა დაბადებად მის თანა და სულსა წრფელსა განახლებად გუამსა მისსა» (ფს.50,12), არა თუ ვითარმცა არა აჴუნდა (რამეთუ ვის-თანამცა იყო, უკუეთუმცა არა იყო **ღავითის** თანა, დიდებულისა მის?), არამედ ახლად იცოდა, რომელი ან დაერთოს. ჴა რად მიჴმს მრავალთა სატფურებათა ჴსენებაჲ? ჯერ-არს წინამდებარისა ამის უნყებაჲ და რომელსა-ესე დღეს ვდღესასწაულობთ, რომელნი-ესე ცხოვრებასა შემდგომად სიკუდილისა მივეახლენით.

25 სატფურებაჲ, სატფურებაჲ არს, ძმანო, კრებაჲ ესე. ჴოქუემოდენ მრავალგზის საწადელად. ჴა რაჲ-მე არს ესე სატფურებაჲ? რომელნი მეცნიერ ხართ, გუასწავეთ; რომელნი უმეცარ ხართ, სასმენელნი განახლენით.

3. ჴათელი იყო თუალთშეუდგამი და მიუაჩრდილებელი იმერთი, არცა დასაბამიერი, არცა დასრულებადი, მარადის ბრწყინვალე, სამებით მნათობ, მცირედთადა ხილულ, ვითარ არს, ვჴგონებ, თუ არცა მცირედთადა. ჴათელნი მეორენი, პირველისა მის ნათლისაგან განბრწყინებულნი, რომელ არიან წინაშე შისა მდგომარენი იგი ძალნი და მსახურებად განწესებულნი სულნი.

45 ჴოლო ჩუენ შორის მყოფი ესე ნათელი არა ხოლო თუ უკუანაჲსკნელ მოვიდა დაწყებად, არამედ ღამისაგანცა განიკუეთების და განჴკუეთს ღამესა სწორებით სახილველად მოცემული და ჴაერად განფენილი, რომელი-იგი მიიღებს, რომელსა მისცემს.

* Corpus christianorum, series graeca 36, Leuven, 1998. სიტყვა XLIV, გვ. 162-215. თარგმანი წმ. ექვთიმე მთაწმიდელისა.

ჩამეთუ ხილვასა მისცემს სახედავსა და პირველ იხილვების სახედავისაგან და ხილულთა ზედა განფენილი კადნიერებასა მისცემს კაცთა საქმედ. ჩამეთუ ინება რად იმერთმან სოფელი ესე შემზადებად, ხილულთაგან და უხილავთა შემზადებული, დიდი ესე და საკრველი, დიდებულებისა მისისა ქადაგი დაუსრულებულთა მათთვის და უკორცოთა ძალთა, ჴგი თავადი არს ნათელ და არა სხუად რად.

(ჩამეთუ რადმცა უჴმდა ნათელი მეორე, რომელთა დიდი იგი აქუნდა ნათელი?). ღოლო ქუეყანისათა ამათ და ჩუენთანათა პირველად გამოუბრწყინვა ნათლისა ამის ძალი, ვითარცა წერილ არს, თქუა იმერთმან: «იყავნ ნათელი» (შესქ.1,3). ჩამეთუ ეგრეთცა შუენოდა დიდსა მას ნათელსა, რადთა დაბადებად ნათლისაგან იწყოს, რომლისა მიერ დაიქსნა ბნელი იგი და განფენილი მაშინ უხილავობად და უნესობად.

4. ნათელი იგი არა ჭურჭლითა გამოაჩინა პირველვე და არცა მზისთუალითა, ვითარ-ესე მე ვიტყვ, არამედ თვნიერ გუამისა და მზისთუალისა. ჴმედგომად ყო იგი მზესა შინა განათლებად ყოვლისა ამის სოფლისა. ჩამეთუ სხუათა მათ ნაქმართად პირველად ნივთნი შემზადნა და მერმე სახჴ დასდვა თითოეულსა, წესი და გუარი და საზომი სიდიდისა და განუწესა თითოეულსა.

ღოლო აქა, რადთა უმეტესად საკრველ ყოს, დაჴბადა სახჴ უწინარეს ნივთისა და ბუნქისა (რამეთუ სახჴ მზისა არს ნათელი) და შემდგომად ამისა მოურთო ნივთი იგი, და თუალი დღისა დაჴბადა – მზჴ ესე, რომელსა ვხედავთ. ჩამეთუ ესრეთ აღითუალვის პირველი დღჴ და მეორე და მესამე და შემდგომი ვიდრე მეშუდემდე, რომელ არს დაცხრომად საქმეთად. ჩამეთუ მათ დღეთა შინა განიწესნეს საქმენი, სიტყვთა გამოუთქუმელითა შემზადებულნი თითოეულად და არა მეყსეულად აღმოცენებულნი ყოვლად ძლიერისა მის სიტყვსა მიერ, რომლისა მოგონებად ზოლო ანუ თქუმად საქმე არს განსრულებული.

ღოლო უკუეთუ კაცი უკუანაჴკნელ გამოჩნდა და ესე ჴელითა იმრთისადათა და ხატად მისა დაბადებითა პატივცემული, არა საკრველ არს, რამეთუ ჯერ-იყო, ვითარცა მეფისა პირველ განმზადებად სამეუფოჴსა და ესრეთ შეყვანებად მეფჴ პატივცემული ყოველთაგან. ოკუეთუმცა დადგრომილ ვიყვენით, ვითარცა და-

ვიბადენით, და დაგუემარხა მცნებად იგი მეუფისა, ვიქმნენითმცა, ვითარ-იგი ვიყვენით და ხესა მას ცხორებისასა მივიწინენითმცა შემდგომად ხისა მის ცნობადისა. ნა რად-მემცა ყოფილ ვიყვენით? უკუდავ და მახლობელ იმრთისა.

ღოლო ვინათგან «შურიტა ბოროტისა ეშმაკისადათა შემოჴდა სიკუდილი სოფლად» (სიბრ.2,24) და განჴადა ცთომითა კაცი სამოთხით, ამისთვის ვნებათა ჩუენთათჴს მწყალობელ იქმნა იმერთი და განკაცნა და მდიდარი იგი დაგლახაკნა ჴორცთშესხმითა, რადთა ჩუენ შისითა სიგლახაკითა განვმდიდრდეთ. შერმე თავს-იდვა ჴუარცუმად, სიკუდილი, დაფლვა და აღდგომა. ნქადთ ახალი დაბადებული და შემდგომად დღესასწაულისა დღესასწაული, და მე კუალად ვდღესასწაულობ და სატფურებასა აღვასრულებ ცხორებისა ჩემისასა.

5. ნა უკუეთუ ვინ თქუას, ვითარმედ არა პირველი იგი კვრიაკე იყო-ა სატფურებად განახლებისა ჩუენისა და შემდგომად წმიდისა მის ღამისა და ბრწყინვალეებისა მის, რომელი მაშინ აღესრულა? არამედ დღეს განანესებ ამას, ჴ დღესასწაულის-მოყუარეო და მრავალთა ბრწყინვალეებათა მომპოვნებელო? იგი კვრიაკე მაცხოვარებად იყო ჩუენი, ესე მაცხოვარებისა მის საჴსენებელი არს სახარულეჴანი; იგი შემდგომი ჟამი იყო, მახლობელი დაფლვისა და აღდგომისა, ესე სახე არს და მომასწავებელი მეორისა მის აღდგომისა და ცხორებისა.

ჩამეთუ ვითარცა პირველისა მის დაბადებისა დაწყებად კვრიაკე იქმნა (ვითარცა საცნაურ არს, რამეთუ მას ეწოდა პირველი დღჴ და მისგან იქმნების შაბათი მეშუდედ, რომელი-იგი არს განსუენებად საქმეთად), ეგრეთვე მეორისა მის დაწყებად კვრიაკითვე იყოს, რომელი-ესე პირველი არს შემდგომთა მისთად და მერვე – უწინარესთა მისთად. შაღლისა უმაღლესი და საკრველისა უსაკრველესი.

ჩომელი ჴეცისა წესად მიმიძღვს, რომელსა, ვჴგონებ, თუ **სოლომონცა** მოასწავებს და «განანესებს ნაწილისა მიცემად შვდთა მათ ამის ცხორებისა ჟამთა და მერვესა – მერმისა მის ყოფადისა» (ეკლ.11,2), რადთა აქადთა სათნოდ ცხორებითა მერმესა მას კუალადგებასა კეთილი გუეყოს.

ნა დიდიცა **ნავით** ამის ჴერისათჴს გალობდა «მერვისათჴს ფსალმუნთა» (ფს.6,1;11,1), რადთა ყოფადი იგი კუალადგებად მოასწავოს, «ვითარცა-იგი დღისათჴსცა სატფურებისა სხ-

უაჲ წსალმუნი აღწერა და უწოდა «ტაძრისა რაჲსმე განახლებად» (ფს. 29, 1), რომელნი-ესე ჩუენ ვართ ღირსქმნულნი ესე ტაძრად იმართისა წოდებად და ყოფადცა, უკუეთუ ვილუანოთ.

6. Ⴎჰა ესერა, გაქუს თქუმული ესე სატფურებისათჳს. Ⴎწ უკუე განახლდებოდეთ და «ძუელი იგი კაცი აღიძარცუეთ და ახლითა მოქალაქობითა ცხონდებოდეთ» (ებრ. 4, 22-24), «აღვრ-ასხენით ყოველსა, რომლისაგან მოინევის სიკუდილი» (რომ. 6, 4), განსწავლენით ყოველნი ასონი, მოიძულეთ ყოველი ბოროტი ხისა მის ჭამადი და ამისთჳს ხოლო ვაჴსენებდეთ ძუელთა მათ, რაჲთა ვივლტოდით მათგან. ჰუენიერ იყო ხილვად და კეთილ საჭმლად მომაკუდინებელი იგი ჩემი ნაყოფი. ჴივლტოდით ფერთაგან შუენიერთა და თავთა თჳსთა ვეკრძალდებით.

ჩუმცა გძლევს გულისთქუმაჲ ქმნულკეთილობისაჲ, ნუცა წარიტაცები თუალთაგან შენთა, უკუეთუ შეუძლო, ნუცა წამ ერთცა. შოიჴსენე ჴეა, ივლტოდე საზრდელისაგან ტკბილისა, რომელსა შინა არნ მახჴ ბოროტი, ნუ პატივ-სცემ წამალსა მაკუდინებელსა. ჴამეთუ ვითარ აცხოვნოს უცხო მან, რომელი წარწყმიდა თჳსმან? ნუ დატკბების ჴორჴი შენი ჭამადითა თითო-ფერთა, სადა-იგი მიიზიდვის ყოველი, რომელი მიეცის, რომელი-იგი პირველ მიღებისა პატიოსან არნ და შემდგომად მიღებისა – უპატივო.

საყნოსელმან გაცთუნა-ა? ივლტოდე სულნელებათაგან; შენებითა ვნებულ იქმენ? იჴმენ ყოველისაგან კადნიერებისა და ფუფუნებისა; სასმენელმან მიგდრიკა-ა? დაუყავ კარი სიტყუათა მაცთურთა და ძვრისმეტყუელთა, «აღალებდ პირსა შენსა სიტყუთა იმართისაჲთა, რაჲთა მოილო სული» (ფს. 118, 31), არა მიიზიდო სიკუდილი.

აკუეთუ ვინმე გაცთუნებდეს ბოროტისმეტყუელთაგანი, მოიჴსენე, ვინ-იგი იყავ შენ და სადაჲთ წარსწყმიდი. აკუეთუ მცირედ მისდრკე სიტყვსაგან კეთილისა, მოიქეც კუალად თავად შენდა, კრძალულებდ პირველ განვრდომადმდე გარე სრულიად და შთაჴდომად მღვმედ სიკუდილისა, და იქმენ ახალ ძუელისა წილ და დღესასწაულობდ განახლებასა სულისასა.

7. ჴულისწყრომაჲ შენი იყავნ გუელისა მიმართ ოდენ, რომლისა მიერ წარსწყმიდი, გულისთქუმაჲ შენი აღჴყრობილ იყავნ იმართისა მიმართ და ნუმცა მიდრეკილ არს სხჳსა რაჲსმე

მიმართ მავნებელისა და მაცთურისა, გულის-სიტყუაჲ კეთილი იყავნ ყოველსა ჴედა მჴყრობელ და ნუმცა დამორჩილებულ არს კეთილი ბოროტისადა.

5 ჩუ მოიძულეჲ ძმასა შენსა და უფროჲსლა ცუდად, რომლისათჳს ჴრისტე მოკუდა და ძმად შენდა იქმნა, ჴომელი-იგი იმერთი არს და შუეფე. ჩუ ეშურები წარმატებულსა სათნოებითა, რომელი-ეგე იშურებოდე მოშურნისა მისგან და შურობაჲ დაირწმუნე და ამისთჳს დაცემულ იქმენ.

ჩუ შეურაცხ-ჴყოფ მოტირალსა, რომელსა-ეგე მრავალთა ცრემლთა ღირსი შეგმთხუევის და მერმელა შეწყალებულ ხარ; ნუ მი-
15 აქცევ გლახაკსა, რომელი განმდიდრებულ ხარ იმრთეებისაგან და ნუ განჴმსდიდრდები დავრდომილთა ჴედა, და ესე ფრიად არს მათ შორის, რომელნი არა განძლებიან. ჩუ შეურაცხ-ჴყოფ უცხოსა, რომლისათჳს ჴრისტე უცხო იქმნა,
20 რომლისა-იგი ჩუენ ყოველნი უცხო და მწირ ვართ, რომელ არა უცხო იქმნე სამოთხისაგან, ვითარცა პირველ.

შიეც უღონოთა სართული, საფარველი, საზრდელი, რომელი-ეგე ამათ შინა ჴფუფუნებ და იშუებ უფროჲს ჴომისა. ჩუ გიყუარნ სიმდიდრე, უკუეთუ არა იყოს შესანევენელ გლახაკთა. შიუტევე შეცოდებულსა, რომელსა მიგიღების მიტევებაჲ ბრალთაჲ. ჴენწყალე, შეწყალებულო ოფლისაო, მოიგე წყალობითა
25 წყალობაჲ, ვიდრე ჴამი არს-ღა; ყოველი ცხორებაჲ შენი განახლდებოდენ და ყოველივე გზაჲ მოქალაქობისა შენისაჲ.

8. ჴედანო, რომელნი უღელსა ქუეშე ხართ, მიეცით რაჲ იმერთსაცა, რამეთუ შეყოფილ ხართ; ქალწულთა მიეცით ყოველივე იმერთსა, რამეთუ ჴსნილ ხართ. ჩუ იქმნებით მჴარავ მონისა მის გულისთქუმისა და განშორებულ აზნაურებისაგან თანამჴკდრობითა მათითა, რომელნი არა არიან თქუენდა მეუღლე, გარნა
35 მამაკაცივე. Ⴎრა თავს-ვიდებ შრომასა სამარადისოდ ჴსენებითა გულისთქუმათაჲთა.

შძულს ჴაეროვნებისაცა ჩუეულებაჲ. ძლიერთა გეშინოდენ უძლიერესისაგან, მსხდომარეთა საყდრისა მაღლისათა – უმაღლესისაგან,
45 ნუ გიკვრნ რაჲმე, რომელ წარმავალ არნ და არა ჴგიენ, ნუ უდებ ჴყოფ, რომელი წარუვალ არნ და ეგის. ჩუარარას იმჴირავ, რომელი დის დამჴირვასავე შინა, ნუარარაჲ გჴურნ, რომელი არა საშურველ არს, არამედ საძულელ.

ჩუ აჰმალდები დიდად, რაათა არა უფროს დაჰმსდაბლდე. ჩუ გნადინ, რაათა იყო მძლე ბოროტთა ზედა, არამედ მწუხარე იყავ, უკუეთუ ნაკლულევან იყო კეთილთაგან. ჩუ ეცინი დაცემასა მოყუსისასა, არამედ ვიდოდე შენ კრძალულებით, რაოდენ ძალ-გედევას და მის-ცემდიცა ჯელსა ქუე მდებარესა. ჩუცა, ოდეს მწუხარე იყო, სასონარკუეთილ ხარ ღვინებისაგან, ნუცა, ოდეს მხიარულ იყო, მოულოდებელ ხარ მწუხარებისა.

ჩელინადსა ერთსა ოთხნი ჟამნი ჰქონან და წამსა ჟამისა ერთისასა – მრავალნი საქმეთა შეცვალეხანი. ლანგიკუეთებდინ შენ ზრუნვად და ჭირვეულობად გულისთქუმათა და ნუგეშინის-სცემდინ მწუხარებათა შენთა სასოებად კეთილთა.

ღსრეთ განახლდების კაცი, ესრეთ იდიდების დლე ესე სატფურებისად, ესევეთარითა შუებითა და ესევეთარითა სათნოებითა. ჩერილ არს: «არა მეჩუენო წინაშე ჩემსა ცალიერი» (მეორ. სჯ.16,16), არამედ, რაიცა კეთილი იყოს, მოილე შენ თანა. ღოლო ან ერუენე ახლად, სხუად სახედ, ყოვლითურთ შეცვალეხულ. «ძუელი იგი წარჴდა, აჰა ესერა, იქმნა ყოველივე ახალ» (2 კორ.5,17). ლსე მიუძღუანე დღესასწაულსა ახალკრიაკისასა, შეცვალეხითა კეთილთა შეიცვალე და ეგრეთცა ნუ აჰმალდები გონებითა.

წრამედ თქუ სიტყუად იგი **წავითისი**: «ესე არს განახლება მარჯუენისაგან მალლისა» (ფს.76,11), რომლისაგან არს ყოველი წარმატებულება კაცთად. წრა ჰნებავს სიტყუასა მარადის ერთსა ზედა დადგრომად შენი, არამედ ყოვლადვე წარმატებულ, კეთილად ცვალეხულ, «მარადის განახლება» (2 კორ.5,17). სცოდვიდე თუ, მოიქეც სინანულად; სათნოდ თუ იქცეოდი, წარმატებოდე უაღრესად მოქალაქობად.

9. ლუშინ გაქუნდა შენ სარწმუნოებად ჟამთად, დღეს სარწმუნოებასა ზედა იმრთისასა განემტკიცე. «წიდრემდე ჰკელობდე ორითავე გოჯითა?» (3 მეფ.18,21), ვიდრემდის განაგებდე და დაირღუეოდი? აღშენებადცა ოდესმე გულსმოდგინე იქმენ. ლუშინ პატივ-სცემდი საგონებელსა, დღეს არსი იგი და ჭეშმარიტი პატივცემულ ყავ. წიდრემდის გეპყრენ სიზმარნი? ჭეშმარიტებასაცა ზედა მოსწრაფე იქმენ.

ღუშინ იყავ სახიობათა მხილველ, დღეს იქმენ იმრთის მხილველ; გუშინ იყავ მაგინებელ ფიცხელ, დღეს იქმენ კეთილისმეტყუელ და მშვდ; გუშინ იყავ მემლერ და მომთრვალე,

დღეს მგალობელ იქმენ პატიოსან და წმიდა. ლღეს თუ ღვნის მსუმელ ხარ, ხვალე წყლის მსუმელ იქმენ; დღეს თუ განსცხრები და ჰფუფუნებ ცხედართა ზედა პილოასძულისათა და რჩეულთა მათ ნელსაცხებელთა იცხებ, ხვალე მწოლარე იყავ ქუეყანასა და მღვდარე;

ჩაცვალად მოცინარებისა შეჭმუნვილ; შემკულებისა წილ სამოსელთაჲსა შეურაცხითა შემოსილ; ზუაობისა წილ და ამპარტავანებისა მდაბალ გულითა და შეურაცხ ხილვითა; ოქროლესულთა სართულთა წილ იწროთა შინა საყოფელთა დამკვდრებულ; ქედმაღლობისა წილ ქუემოდრეკილ თავითა. ოკუეთუ ესრეთ გულისწმა-ჰყოფდე და ესრეთ იქმოდი, «იყოს შენდა ცად ახალი და ქუეყანად ახალი» (ეს.65,17) და ეკლესიად ახალი და ახალი დღესასწაული ახალსა დღესა და პირველსა კურიაკესა და მიიწიო ძალსა ამათ თქუმულთასა და უმეტესიცა გულისწმა-ჰყო.

10. წწ უკუე შემოკერბით და შემსგავსებულად ჟამისა ამის ვდღესასწაულობდე, რამეთუ ყოველნივე კეთილად მოისწრაფიან კრებასა ამას და ჩუენ თანა იხარებენ. ლხილეთ-ლა ჯე-როვანებად საქმეთად ამათ: მთავარი ესე ჟამთად მეუფესა მას დღეთასა ქებისმეტყუელებს და მიუძღუანებს ყოველსა კეთილსა და შუენიერებასა.

წწ ცად უბრწყინვალეს არს, ან მზწ უმაღლეს არს და ოქროსფერად შუენიერ, ან მთოვარისა სავსებად ნათლითშემოსილ არს და კრებულებად ვარსკულავთად შემკობილ. წწ დღწ ესე ახალკურიაკისად განათლდების, რამეთუ სატფურებად არს ცხორებისა ჩუენისად. წწ ღელვანი დაეგებიან ზღვს პირთა და ღრუბელნი – მზესა, ჰაერთა – ქარნი და ქუეყანად – მცენარეთა და მცენარენი – თუალთა.

წწ წყარონი უწმიდესად აღმოეცენებიან და მდინარენი მდიდრად დიან. ლანწსნილნი კრულებათაგან ზამთრისათა, და სამოთხენი სულნელობენ და მცენარენი აღმოეცენებიან და ითიბების თივად და კრავნი იმღერიან ვაკეთა ზედა მწუანვილოვანთა. წწ ნავნი ნავთსაყუდელით განვლენ ბრძანებისმეტყუელებითა უფროსლა იმრთისმოყუარებისაჲთა და ფრთოვან იქმნებიან აფრათაგან, და იმღერიან დელფინნი მათ თანა და ჰბერვენ განსუენებით და გზა-ჰყვებიან მენავეთა ზღუასა შინა სიხარულით.

წწ მუშაკი განაგებს საწწველსა, ზეცას ჰხე-

დავს და ნაყოფის მომცემელსა ხადის და უღელსა ქუეშე მოიყვანებს ჯარსა მწველი და განაპებს ურნატსა ტკბილსა და იხარებს სასოებითა. **წმ** მწყემსი ცხოვართად და მემრონლ⁵ ზროხათად განაგებენ წინილათა, სალამურთა და ჰბერვენ ჳმასა სამწყსოსა და არეობენ კლდეთა ზედა და ხეთა ქუეშე. **წმ** მენერგე ხესა ჰკაზმავს, ან მონადირე აღაშენებს ლერწამსა და ჰხედავს რტოთა და გამოიკულებს ფრთესა მფრინველისასა და მეთევზე შთახედავს სიღრმესა და განსწმედს ბადესა და ზის კლდესა ზედა.

11. **წმ** საქმისმოყუარე ფუტკარი განიწნის ფრთეთა და აღდგების სკისაგან და აჩუენებს სიბრძნესა თვსსა და იქცევის სამოთხეთა ზედა და მოიტაცებს ყუავილთა. **ბა** რომელნიმე მათგანნი იქმან ცვლსა და ქსოვენ ჴურელთა ექუსკედელთა, რომელნი არა ჰმართებენ ერთიერთსა და მართალთა მათ ნაქსოვთა კიდეთა ზედა მოუზაგებენ საქმედ შუენიერად და მტკიცედ, და რომელნიმე დაიუნჯებენ თაფლსა საუნჯეთა მათთა შინა და განუმზადებენ სტუმართმოყუარესა ნაყოფსა ტკბილსა თვნიერ ჳნვისა.

სე, თუმცა ჩუენცა ესრეთ მოსწრაფე ვიყვენით ნაყოფისა ტკბილისა მუშაკობად, **ჟ** ფუტკარნო ჴრისტესნო, რომელთა მოვიღეთ სახ²⁵ ცსევითარისა სიბრძნისად და შრომისმოყუარებისად! ან მფრინველი განამტკიცებს ბუდეთა და ერთი განვალს და სხუად მოვალს და სხუად ფრინავს და ჭივის ხეწარსა ზედა და გარემოვს კაცისა ჳმობს.

ყოველნივე უგალობენ და ადიდებენ იმერთსა ჳმითა არამეტყუელითა, რამეთუ ყოვლისათვსვე სამადლობელ არს ჩემ მიერ იმერთი, და ესრეთ მათი იგი გალობად ჩუენდად იქმნების, რომელთა მიერ ქებისა და გალობისა მიზეზსა მოვიღებ. **წმ** განსცხრების ყოველი ნათესავი ცხოველთად და ყოველნი საცნობელნი კაცთანი იხარებენ. **წმ** ცხენმან, ქედმაღალმან და ზუავმან, მოიწყინის რად სახლები, და განხეთქნის საკრველნი და რბინ ველთა და განსცხრებინ მდინარეთა ზედა.

12. **წმ** მონამენი გამოჩნდებიან და პატივ-იცემებიან და ბრწყინვალედ ტაძართა მათთა მოუწოდენ ერსა იმრთისმოყუარესა და მოღუანებათა მათთა გამოაცხადებენ. **წრთი** მათგანი არს ჩემი ესე გვრგვოსანი (რამეთუ ჩემი არს, დაღაცათუ არა მახლობელად ჩემდა

სუენებულ არს, რამეთუ უშურველ არს მადლი მისი), მამას ვიტყვ, დიდებულსა მას მწყემსსა და მონამესა, რომელი-იგი პირველ წუელდა ირემთა, მსწრობელთა ერთიერთსა, რადთა იზ-
5 არდებოდის მართალი იგი სძითა უცხოთა,

ჟოლო ან მწყემსობს ერსა ზედა დედაქალაქისასა და არესა ამას განაახლებს დღესა ამას ახალკვრთიამისასა და ახარებს მრავალთა ამათათასეულთა, ყოვლით კერძო შემოკრებულთა, ¹⁰ თითოფერითა მით შუენიერებითა სათნოებათა და მოღუანებათა მისთაფთა, მწყემსთა თანა ღირსთა და სიტყვთა ქებისათა.

ბა კუალად ვთქუა შემოკლებულად, ან არ¹⁵ სულიერი, არ¹⁵ სოფლიერი, არ¹⁵ მშვნვიერი, არ¹⁵ ჴორციელი, არ¹⁵ ხილული, არ¹⁵ უხილავი, რომელი მოვიღოთ მერმესაცა საუკუნესა, ოდეს აქადთ კეთილად მივიცვალნეთ და წარვიდეთ ახალნი ახალსა ცხორებასა ჴრისტეს **სე**-სუეს მიერ, **ოფლისა** ჩუენისა, **ჴომლისა** არს ²⁰ დიდებად, პატივი და ძლიერებად **ჴამისა** თანა სულით **წმიდითურთ** ან და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ.

ძნელთა სიტყუათა განმარტება

1. **[იმრთისმეტყუელისაჲ:]** «**ნუ** ეშურები წარმატებულსა სათნოებითა, რომელი-ეგე იშურებოდე მოშურნისა მისგან და შურობად დაირწმუნე და ამისთვის დაცემულ იქმენ».

ძარგმანი: ოდეს-იგი **წდამ** და **წვა** სამოთხეს იყვენეს, შეეშურვა ეშმაკი მათისა მის პატივისათვს და ეტყოდა პირითა გუელისათა: «**იცოდა** იმერთმანო, ვითარმედ სჭამოთ რად ხისა მისგან ცნობადისა, განგეხუნენ თუალნი თქუენნი და იყვენეთ ვითარცა ღმერთნი და ამისთვის გამცნო არა ჭამად ხისა მისგან» (მესქ.3,5). **წმით** სიტყვთა დაარწმუნა მათ, ვითარმედ შურდა იმერთსა მათი იმერთ-ყოფად. **შიიღეს** ხისა მისგან და გამოვარდეს სამოთხით. **წმისთვის** იტყვს ნეტარი **წრიგოლი** და სახესა მას **წდამისსა** ჩუენ ზედა ³⁵ მოიღებს: «გუეშურებოდა მტერი იგი მოშურნე და ეგრე დაგუარწმუნა, თუ იმერთსა შურდა იმერთ-ყოფად ჩუენი და ამით ზაკუვითა გამოგუყარნა სამოთხით». **სე** არს ძალი სიტყვსად ამის.

2. **იმრთისმეტყუელისაჲ:** «**გუშინ** გაქუნდა შენ სარწმუნოებად ჟამთაჲ, დღეს სარწმუნობასა ზედა იმრთისასა განემტკიცე».

ძარგმანი: რად არს სარწმუნოებად ჟამთაჲ? ოდესმე მეფ² მწვალებელი დაჯდის, ვითარცა

უვალი და მსგავსი მისნი, ოდესმე კერპთმსახურნი, ვითარცა **ველიანე**, რომელნი უძღურნი იყვნენ გონებითა და ჯაბანნი გულითა, წესსა მას ჟამთასა მიუდგინ და დაემორჩილნენ მეფეთა ანუ მღვდელთმოდღუართა მწვალებელთა და იტყოდნ: «ვითარცა ჟამთა ჰხედების, ესრეთ ვიქცევით», ამას უწესა იმრთისმეტყუელმან «სარწმუნოება ჟამთაჲ». სრა ჯერ-არსო ჟამთა მიყოლად, არამედ სარწმუნოებასა ზედა იმრთისასა დამტკიცებაჲ.

3. **იმრთისმეტყუელისაჲ:** «ვიდრემდის ჰკელობდე ორითავე გოჯითა?»

ძარგმანი: ორითავე გოჯითა კელობაჲ იგი არს, ოდეს მწვალებელნი მეფენი იყვნენ, მათ ვინ მიუდგეს, ოდეს მღვდელთმოდღუარი იყოს მწვალებელი, მას მიექცეს, იგი კელობს ორითავე გოჯითა და ვერ წარემართების გზასა ცხორებისასა. **ჟოლო** რომელი სარწმუნოებითა მართლითა და საქმითა კეთილითა ცხონდებოდის, კეთილად თქუას: «სლვანი ჩემნი წარმიმართენ მე სიტყვთა შენითა და ნუ მეუფლებინ მე ყოველი უშჯულოებაჲ» (ფს.118,133).

4. **იმრთისმეტყუელისაჲ:** «ვიდრემდის განაგებდე და დაირღუეოდი, აღშენებადცა ოდესმე გულსმოდგინე იქმენ?»

ძარგმანი: იგინი, რომელ მწვალებელნი რაჲ მეფენი ანუ მღვდელთმოდღუარნი დასხდნენ და დაემორჩილნენ მათ, ეგრე იტყოდეს, თუ: «განგებულებით ვიქმთო ამას, ვითარცა ჟამსა და საქმესა შეჰგვანდეს, ეგრეცა ვიქცევით». **ჰათ** ეტყვს ნეტარი **სრიგოლი:** «ვიდრემდის

განაგებდეთ, ეგე განგებაჲ სულთა თქუენთა დარღუევაჲ არს, აღშენებადცა სულისა თქუენისა გულსმოდგინე იქმენით. **აკუეთო** მაგათ ეგევითართა განგებათა შინა დაადგრეთ, **სულნი** თქუენნი დაგირღუევიან». **ნა** საქმესაცა რას ბოროტსა თუ იქმოდის ვინ სათნოებითა კაცთაჲთა, ესე სიტყუაჲ მასცა ზედა ჯეროვან არს, რამეთუ ბოროტთა საქმეთა ზედა არა ჯერ-არს სათნო-ყოფად კაცისა და თჳსისა **სულისა** დარღუევაჲ.

5. **იმრთისმეტყუელისაჲ:** «გუშინ პატივ-სცემდი საგონებელსა, დღეს არსი იგი ჭეშმარიტი პატივცემულყავ?»

ძარგმანი: საქმენი ამის საწუთროდსანი: **დიდება** და **სიმდიდრე** და **შუება** და **განსუენება** და **გულისთქუმანი** და **სხუა** ესევითარი საგონებელ არიან უგუნურთა მიერ, თუ კეთილ არიან და სანადელ. **სრამედ** არა ეგრეთ არს, «არამედ ამოებაჲ არს ამოებისაჲ და ყოლადვე **ამაო**» (ეკლ.1,2). **ჟოლო** სათნოებანი და კეთილნი საქმენი და ცხორებაჲ სულისაჲ ესე არიან არსნი და ჭეშმარიტნი. **სტყვს** უკუე ნეტარი **სრიგოლი**, ვითარმედ: «ნუ პატივ-სცემ, ნუ გსურის ცუდთა მათთჳს და ამაოთა, რომელნი საგონებელ არიან კეთილად და არა ეგრეთ არიან, არამედ მოიგენ საქმენი კეთილნი, რომელნი მიგანვეენ ცხორებასა საუკუნოსა, ჭეშმარიტსა მას და წარუვალსა მადლითა ჴრისტესითა, ჴომლისაჲ არს დიდებაჲ და პატივი თანა **ჰამით** და **სულით** **ჴმიდითურთ** ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ».

